The Sustainability Bond Guidelines

ICMA

თარგმანი მომზადებულია საინფორმაციო მიზნებისთვის. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად აღვნიშნავთ, რომ *მდგრადი განვითარების ობლიგაციების გზამკვლევის* ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებული ვერსია, რომელიც გამოქვეყნებულია ICMA-ს ვებგვერდზე.

მდგრადი განვითარების ობლიგაციის გზამკვლევი

ივნისი 2018

Georgian language translation courtesy of the National Bank of Georgia and review by TBC Capital

ივნისი 2018

მდგრადი განვითარების ობლიგაციის გზამკვლევი

შესავალი

ჩამოყალიბდა და ვითარდება ბაზარი, სადაც ხდება „მწვანე ობლიგაციის პრინციპებთან“ (მოპ) და „სოციალური ობლიგაციის პრინციპებთან” (სოპ) (შემდგომში „პრინციპები“) შესაბამისობაში მყოფი ობლიგაციების ემისია და ვაჭრობა. ამ ტიპის ტრანზაქციები, თავის მხრივ, მიზნობრივი ობლიგაციების ბაზრის მუდმივ განვითარებაზე მეტყველებს. მსგავსი გარიგებების კონკრეტული მაგალითების მოძიება შესაძლებელია რესურსცენტრის (Resource Centre) ვებგვერდის შემდეგ ბმულზე: https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/resource-centre/.

ეს გზამკვლევი გამოქვეყნდა, რათა ხაზი გაუსვას მოცემულ კონტექსტში პრინციპების მნიშვნელოვნებას და გაამარტივოს მდგრადი განვითარების ობლიგაციების ბაზარზე ამ პრინციპებით გაწერილი გამჭირვალობისა და საჯაროობის მოთხოვნების შესრულება. პრინციპების ოთხი ძირითადი საერთო კომპონენტი და მათი შესაბამისი რეკომენდაციები გარე ექსპერტის შეფასების გამოყენებასა და ზეგავლენის ანგარიშგებასთან დაკავშირებით ასევე ეხება მდგრადი განვითარების ობლიგაციებს.

ამ დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების ობლიგაციების ბაზრის მთლიანობას და უზრუნველყოს ემიტენტების მიერ ინვესტორთა მოლოდინების უკეთ აღქმა და დაკმაყოფილება. ეს დოკუმენტი ასევე ემსახურება იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რომელიც საჭიროა ინვესტორის მიერ არსებული ან მოსალოდნელი დადებითი მწვანე და სოციალური შედეგის შესაფასებლად. ინფორმაციის გასაჯაროების და მეთოდოლოგიის გაუმჯობესების წახალისება ასავე ხელს უწყობს ანდერრაიტერებს მდგრადი განვითარების ობლიგაციების ტრანზაქციებში მონაწილეობის მიღებაში.

მდგრადი განვითარების ობლიგაციის განმარტება

მდგრადი განვითარების ობლიგაციები არის ობლიგაციები, რომლიდანაც მიღებული შემოსავლები ექსკლუზიურად გამოიყენება მწვანე და სოციალური პროექტების კომბინაციის დასაფინანსებლად ან რეფინანსირებისთვის. მდგრადი განვითარების ობლიგაცია შესაბამისობაშია მწვანე ობლიგაციის პრინციპებისა და სოციალური ობლიგაციის პრინციპების ოთხ ძირითად კომპონენტთან, სადაც მოპ-ს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა თუ საქმე ეხება მწვანე პროექტებს, ხოლო სოპ-ს, თუ საქმე გვაქვს სოციალურ პროექტებთან.

მიიჩნევა, რომ ზოგიერთ სოციალურ პროექტს ასევე თან ახლავს გარემოსდაცვითი სასარგებლო შედეგი, ხოლო ზოგიერთ მწვანე პროექტს კი სოციალური სარგებელი. თუ რა კლასიფიკაცია მიენიჭება ობლიგაციას, მწვანე, სოციალური თუ მდგრადი განვითარების, ამას თავად ემიტენტი განსაზღვრავს პროექტის მიზნებიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ ობლიგაციები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ პრინციპების ოთხ ძირითად კომპონენტს, არ უნდა მივიჩნიოთ მდგრადი განვითარების ობლიგაციებად.

Georgian language translation courtesy of the National Bank of Georgia and review by TBC Capital

რესურსცენტრი

რეკომენდირებული შაბლონები და მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციის მასალები ხელმისაწვდომია რესურსცენტრის ვებგვერდის შემდეგ მისამართზე: https://www. icmagroup.org/green-social-and-sustainability- bonds/resource-centre/. ბაზრის ინფორმირების მიზნით, შევსებული შაბლონის გამოქვეყნება შესაძლებელია ონლაინ რესურსცენტრის ვებგვერდზე ზემოთ მითითებულ ბმულზე წარმოდგენილი ინსტრუქციის მიხედვით.

შენიშვნა

მწვანე ბონდებისა და სოციალური ბონდების ოთხი სახეობა, რომლებიც წარმოდგენილია მოპ-ის და სოპ-ის შესაბამის დანართში, ასევე ვრცელდება მდგრადი განვითარების ობლიგაციებზე, როდესაც ხდება მწვანე და სოციალური პროექტების კომბინირება.

ასევე აღიარებულია, რომ არსებობს მდგრადი განვითარების თემატური ობლიგაციების ბაზარი, მათ შორის ისეთი ობლიგაციების რომლებიც დაკავშირებულია მდგრადი განვითარების მიზნებთან ("SDG"). ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი ობლიგაციები გამოშვებულია იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ძირითადად ან მთლიანად ჩართული არიან მდგრადი განვითარების საქმიანობაში, მაგრამ მათი ობლიგაციები შესაბამისობაში არ არის პრინციპების ოთხ ძირითად კომპონენტთან. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მოხდეს ინვესტორების შესაბამისი ინფორმირება და სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ არ მოხდეს მოპ-ის და სოპ-ის თვისებების მინიჭება ასეთი ტიპის მდგრადი განვითარების ან SDG ობლიგაციებისთვის. ასეთ ორგანიზაციებს მოუწოდებენ, რომ სადაც შესაძლებელია მოახდინონ მოპ-ის და სოპ-ის საუკეთესო პრაქტიკის (მაგალითად, ანგარიშგება) დანერგვა უკვე არსებული მდგრადი განვითარების თემატიკის, SDG ან სხვა მსგავსი ტიპის ობლიგაციებისთვის, და მომავალში ობლიგაციების ემისია პრინციპებთან შესაბამისობაში მოახდინონ.

უნდა აღინიშნო, რომ მოპ-ის და სოპ-ის მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) შესაბამისობის რუკა უკვე ხელმისაწვდომია. იგი მიზნად ისახავს ემიტენტებს, ინვესტორებს და ობლიგაციების ბაზრის მონაწილეებს მიაწოდოს ფართო ჩარჩო, რათა მათ შეძლონ მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების/ობლიგაციების პროგრამების ფინანსური მიზნების SDG-თან მიმართებაში შეფასება. აღნიშნული ინფორმაციის შესაძლებელია ICMA-ის ვებგვერდის შემდეგ მისამართზე: https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/.

Georgian language translation courtesy of the National Bank of Georgia and review by TBC Capital

პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადი

მდგრადი განვითარების ობლიგაციის გზამკვლევი არის ნებაყოფლობითი პროცედურების გზამკვლევი და იგი არ წარმოადგენს შეთავაზებას ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან გაყიდვის თაობაზე ან რაიმე სახის (საგადასახადო, სამართლებრივი, გარემოს დაცვითი, საღრიცხვო ან მარეგულირებელი) რჩევას მდგრადი განვითარების ობლიგაციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესახებ. მდგრადი განვითარების ობლიგაციის პრინციპები არ წარმოშობს არც უფლებას, და არც ვალდებულებას, რომელიმე საჯარო ან კერძო პირის მიმართ. ემიტენტები მდგრადი განვითარების ობლიგაციების პრინციპებს ნერგავენ და იყენებენ ნებაყოფლობით და დამოუკიდებლად, მდგრადი განვითარების ობლიგაციების გზამკვლევზე ყოველგვარი დამოკიდებულების გარეშე და თავად არიან პასუხისმგებელი მდგრადი განვითარების ობლიგაციების გამოშვების გადაწყვეტილებაზე. მდგრადი განვითარების ობლიგაციების ანდერრაიტერები არ არიან პასუხისმგებელი ემიტენტების მიერ მდგრადი განვითარების ობლიგაციებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასა და ამ ობლიგაციების ემისიიდან მიღებული წმინდა თანხების არამიზნობრივად გამოყენებაზე. თუ არსებობს შეუთავსებლობა მდგრადი განვითარების გზამკვლევსა და შესაბამის კანონებს, დებულებებსა და რეგულატორულ ნორმებს შორის, უპირატესობა ადგილობრივ კანონებს, დებულებებს და ნორმებს უნდა მიენიჭოს.

The Sustainability Bond Guidelines

Contact details

ICMA Paris Representative Office

62 rue la Boétie

75008 Paris

France

Tel: +33 1 70 17 64 70

sustainabilitybonds@icmagroup.org

www.icmagroup.org

Please scan to download this brochure.